



საფინანსო საქმიანობით დაკავებული საწარმოების სტატისტიკური გამოკვლევა

კითხვარი N 05.4.2.1 (წლიური) დამტკიცებულია საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის საბჭოს 19.02.2019 #4 დადგენილებით

- კითხვარს წარმოადგენენ საფინანსო საქმიანობით დაკავებული საწარმოები, განურჩევლად საკუთრების, ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის და საწარმოს ზომისა (გარდა კომერციული ბანკების, სადაზღვევო და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა) არა უგვიანეს მიმდინარე წლის 21 მაისისა საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ტერიტორიული ორგანოს შესაბამის სტრუქტურულ ქვედანაყოფში.
„ოფიციალური სტატისტიკის შესახებ“ საქართველოს კანონის 25-ე მუხლის თანახმად მეწარმე ფიზიკური და იურიდიული პირები ვალდებული არიან, საქსტატის მოთხოვნის შემთხვევაში წარადგინონ მათ ხელთ არსებული ინფორმაცია, მათ შორის, კონფიდენციალური.
ინფორმაციის წარუდგენლობისათვის გათვალისწინებულია საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 177<sup>12</sup> მუხლით.
ინდივიდუალური მონაცემები ითვლება კონფიდენციალურად და დაცულია საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსითა და „ოფიციალური სტატისტიკის შესახებ“ საქართველოს კანონის 28-ე მუხლით.
რუხი ფერის უჯრები ივსება საქართველოს სტატისტიკის ეროვნულ სამსახურში.
კითხვარი შეივსება 2019 წლის შედეგების საფუძველზე, დარიცხვის მეთოდის მიხედვით.

ინტერვიუერის სახელი, გვარი, ხელმოწერა (ინტერვიუერის ან საქსტატის წარმომადგენლის სახელი, გვარი და ხელმოწერა, რომელმაც უშუალოდ ჩაიბარა რესპოდენტისაგან კითხვარი)
საწარმოს სრული დასახელება
სტატისტიკური რეესტრის საიდენტიფიკაციო ნომერი
ხელმძღვანელი (სახელი, გვარი) (ხელმოწერა)
გადასახადის გადამხდელის საიდენტიფიკაციო ნომერი
ოსტკ-ის კოდი

ნაწილი I. საიდენტიფიკაციო მონაცემები

Table with 2 main rows for identification data. Row 1: იურიდიული მისამართი (სარეგისტრაციო დოკუმენტის მიხედვით) with fields for address, postal code, and cadastral code. Row 2: ფაქტობრივი მისამართი<sup>1</sup> with similar fields.

1- ორგანიზაციის ფაქტიური მისამართი განისაზღვრება იმ ტერიტორიის მისამართით, სადაც ფაქტობრივად მდებარეობს ორგანიზაცია. იმ შემთხვევაში, როდესაც ორგანიზაციას გააჩნია ორი ან რამდენიმე ადგილობრივი ერთეული (ფილიალი და ა.შ.), ფაქტიური მისამართი იქნება იმ ადგილობრივი ერთეულის მისამართი, რომელიც შემოსავლების უდიდესი მოცულობით გამოირჩევა. სათაო ოფისი ქვეყნის ერთ-ერთ მუნიციპალიტეტში მდებარეობს და საწარმოს გააჩნია 1 ადგილობრივი ერთეული ქვეყნის რომელიმე სხვა მუნიციპალიტეტში:
ა) იმ შემთხვევაში, თუ სათაო ოფისიდან ხდება მხოლოდ მენეჯმენტი – ფაქტიური მისამართია ადგილობრივი ერთეულის მისამართი
ბ) იმ შემთხვევაში, თუ სათაო ოფისიც ხდება ეკონომიკური საქმიანობა - ფაქტიური მისამართია სათაო ოფისის მისამართი.



ნაწილი II. შემოსავლები და ხარჯები			
მაჩვენებლის დასახელება	კოდი		კომენტარი
პროცენტული შემოსავლები	150		საპროცენტო შემოსავლები ბანკებიდან მიმდინარე ანგარიშების მიხედვით, სესხებიდან, ფასიანი ქაღალდებიდან; სხვა საპროცენტო შემოსავლები.
პროცენტული ხარჯები	160		გადახდილი პროცენტები ნასესხებ სახსრებზე ფიზიკური პირებიდან, იურიდიული პირებიდან, ბანკებიდან, საფინანსო ორგანიზაციებიდან; სხვა საპროცენტო ხარჯები
არაპროცენტული შემოსავლები	170		შემოსავლები საკომისიოებიდან და გაწეული მომსახურებიდან, სხვა არაპროცენტული შემოსავლებიდან, საკონვერსიო ოპერაციებიდან მიღებული წმინდა მოგება/ზარალი, ფასიანი ქაღალდების დილინგიდან მიღებული წმინდა მოგება/ზარალი.
აქედან: საკომისიოები და შემოსავლები გაწეული მომსახურებიდან	171		საკომისიო შემოსავლები მოიცავს ნაღდი ფულით განხორციელებული ოპერაციების და გადარიცხვების საკომისიოს, რომლებიც აღიარდება შემოსავლად მომსახურების გაწევისთანავე.
საკონვერსიო ოპერაციებიდან მიღებული წმინდა მოგება/ზარალი	172		მოგება-ზარალი ვალუტის ყიდვა-გაყიდვიდან
ფასიანი ქაღალდების დილინგიდან მიღებული წმინდა მოგება/ზარალი	173		მოგება (ზარალი) დილინგური ფასიანი ქაღალდებიდან
სხვა არაპროცენტული შემოსავლები	174		შემოსავლები საკონსულტაციო და საექსპერტო მომსახურებიდან; სამუშაო მასალების გასვლიდან; შემოსავლები დანარჩენი ოპერაციებიდან
პროცენტული და არაპროცენტული შემოსავლები, სულ	175		150+170
პროდუქციის გამოშვება	180		150-160+171
საქონლისა და მომსახურების ყიდვები	190		იგულისხმება საანგარიშო პერიოდის განმავლობაში განხორციელებული ყველა სახის საქონლისა და მომსახურების ყიდვების ჯამი (მიუხედავად იმისა, საქონელი და მომსახურება განკუთვნილია თუ არა ფორმისა და თვისებების შეუცვლელად გადაყიდვისათვის)
აქედან, გადასაყიდად განკუთვნილი საქონლისა და მომსახურების ყიდვები	200		საანგარიშო პერიოდის განმავლობაში შესყიდული საქონელი და მომსახურება, რომელიც განკუთვნილია ფორმისა და თვისებების შეუცვლელად გადაყიდვისათვის. მაჩვენებელი გაანგარიშდება შესყიდვის ფასებში დღგ-სა და აქციზის გარეშე.
გარე ორგანიზაციების ან ფიზიკური პირებისაგან გაწეული მომსახურების ხარჯები	202		იგულისხმება საანგარიშო პერიოდის განმავლობაში კავშირგაბმულობის, სატრანსპორტო, რეკლამის, სარემონტო და სხვა სახის მომსახურების შესყიდვებზე დარიცხული ხარჯები, დღგ-ს გარეშე
საიჯარო ხარჯები	204		იგულისხმება საანგარიშო პერიოდის განმავლობაში უძრავი ქონების იჯარაზე, უძრავი ქონების გამჭირავებელი სააგენტოების მომსახურებაზე, ლიზინგზე და სხვა სახის საიჯარო ქირაზე დარიცხული ხარჯები, დღგ-ს გარეშე
ნედლეული და მასალა, ნაყიდი მაკომპლექტებელი ნაწარმი და ნახევარფაბრიკატები	206		იგულისხმება საანგარიშო პერიოდის განმავლობაში გამოყენებული (დახარჯული) ნედლეულისა და მასალების, ნაყიდი მაკომპლექტებელი ნაწარმისა და ნახევარფაბრიკატების ღირებულება დღგ-ს გარეშე, მათი შესყიდვის პერიოდის მიუხედავად (ანუ მიუხედავად იმისა, საანგარიშო პერიოდშია შესყიდული თუ საანგარიშო პერიოდამდე)
შრომის ანაზღაურება დასაქმებულ პერსონალზე, სულ	220		შრომის ანაზღაურება (ხელფასი, დანამატი, პრემია, საშვებულებო დახმარება, საკომპენსაციო გასაცემლები და სხვა.), რომელიც დაერიცხა დასაქმებულ პერსონალს (საშემოსავლო გადასახადის ჩათვლით) საანგარიშო პერიოდის განმავლობაში.
სტრ. 220-დან: შრომის ანაზღაურება დასაქმებულ ქალებზე	240		შრომის ანაზღაურება (ხელფასი, დანამატი, პრემია და სხვა.), რომელიც დაერიცხა დასაქმებულ ქალებს საანგარიშო პერიოდის განმავლობაში.
სხვა არასაპროცენტო ხარჯები	270		სხვა დარიცხული არასაპროცენტო ხარჯები, (წარმომადგენლობითი ხარჯები, მივლინება და სხვა). აქვე აისახება მიმდინარე წარმოებაში გამოყენებულ ფიქსირებული აქტივებზე დარიცხული ამორტიზაცია.

არასაოპერაციო ხარჯები	274	იგულისხმება არასაოპერაციო და გაუთვალისწინებელ ხარჯები (რეალიზებული და ჩამოწერილი ძირითადი და საბრუნავი კაპიტალის ნარჩენი ღირებულება (ამ ოპერაციებით აქტივის ნარჩენი ღირებულების შემცირების მოცულობა), მიმდინარე წარმოებაში გამოყენებულ ფიქსირებულ აქტივებზე დარიცხული ამორტიზაცია, საკურსო სხვაობა და სხვა), მიმდინარე ფასებში.
ხარჯები, სულ	280	190+220+270+274
ნაღდი ფული სალაროში წლის დასაწყისისათვის	245	იგულისხმება საანგარიშო პერიოდის დასაწყისისათვის სალაროში არსებული ნაღდი ფული
ნაღდი ფული სალაროში წლის დასასრულისათვის	250	იგულისხმება საანგარიშო პერიოდის ბოლოსათვის სალაროში არსებული ნაღდი ფული

**გაქვთ თუ არა სხვა ეკონომიკური საქმიანობა**

კი  არა

თუ კდ მიუთითეთ ეკონომიკური საქმიანობის სახე და შესაბამისი ბრუნვის მოცულობა სტრ. 100-102, თუ არა გადადით სტრ.400-460

	100		ჩაიწერება გაყიდვები ანუ დარიცხული შემოსავლები საქონლისა და მომსახურების გაყიდვებიდან (ბარტერის ჩათვლით) დღგ-სა და აქციზის გარეშე. არ ჩაირთვება აქტივების გაყიდვა, აგრეთვე სუბსიდიები
	101		
	102		

გადაყიდვისათვის განკუთვნილი საქონლის მარაგები	320	360	აღნიშნულ სტრიქონებში აისახება გადაყიდვისათვის განკუთვნილი საქონლის (შემქნილი საქონელი, რომელიც ფორმისა და თვისების შეუცვლელად უნდა გადაიყიდოს) მარაგების მოცულობა საანგარიშო პერიოდის დასაწყისისა (სტრ.320) და ბოლოსათვის (სტრ.360).
ნედლეულისა და მასალების მარაგები	330	370	აღნიშნულ სტრიქონებში აისახება ნედლეულისა და მასალების (ნაყიდი ნახევარფაბრიკატები და მაკომპლექტბელი ნაწარმი, სათბობი, ტარა და ტარის მასალები, სათადარიგო ნაწილები, სამშენებლო მასალები და დეტალები მიმდინარე ფასებში) მარაგების მოცულობა საანგარიშო პერიოდის დასაწყისისა (სტრ.330) და ბოლოსათვის (სტრ.370).

**ნაწილი III. დასაქმებულთა საშუალოწლიური რაოდენობა**

მაჩვენებლის დასახელება	კოდი	სულ	კოდი	აქედან, ქალი	კომენტარი
დასაქმებულთა საშუალოწლიური რაოდენობა <sup>1</sup> ,სულ	400		410		საწარმოში დასაქმებულ პირთა (დაქირავებულები, დასაქმებული დამფუძნებლები და საოჯახო საწარმოს შემთხვევაში – დასაქმებული ოჯახის წევრები) საშუალო რაოდენობა წლის განმავლობაში.
აქედან, დაქირავებულთა საშუალოწლიური რაოდენობა	420		430		საწარმოში დასაქმებული პირები, რომელთა შრომითი ურთიერთობა რეგულირდება საწარმოსთან დადებული ხელშეკრულებით, ანუ კონტრაქტით და რომელთაც დაერიცხათ და/ან მიეცათ ხელფასი
დაქირავებულთა რაოდენობა წლის დასაწყისისათვის	440		450		საწარმოში დაქირავებულთა რაოდენობა საანგარიშო წლის პირველი რიცხვისათვის
დაქირავებულთა რაოდენობა წლის დასასრულისათვის	460		470		საწარმოში დაქირავებულთა რაოდენობა საანგარიშო წლის ბოლო რიცხვისათვის
ნამუშევარი საათების რაოდენობა (ათასი კაც-საათი, მეთაედი ნიშნის სიზუსტით)	480		490		ფაქტიურად ნამუშევარი საათების რაოდენობა, როგორც ნორმირებული სამუშაო დღის ფარგლებში, ისე ზეგანაკვეთით. თუ შეუძლებელია განისაზღვროს ნამუშევარი საათების ზუსტი რაოდენობა, ისარგებლეთ შეფასებითი მიდგომით.

ფუქვთ, I თვის (31 დღე) 1-დან 12 რიცხვის ჩათვლით (ანუ 12 დღის მაძილზე) საწარმოში მუშაობდა 30 კაცი, ხოლო 13-დან 31-ის ჩათვლით (ანუ შემდეგი 19 დღის მაძილზე) - 50 კაცი. შესაბამისად, I თვეში დასაქმებულ პირთა საშუალო რაოდენობა იქნება: (12X30+19X50)/31=42.3 ანალოგიურად გაანგარიშდება დანარჩენ თვეებში დასაქმებულ პირთა

საშუალო რაოდენობა. საანგარიშო პერიოდის განმავლობაში დასაქმებულ პირთა საშუალო რაოდენობა კი წარმოადგენს 12 თვის მიხედვით მიღებულ მაჩვენებელთა საშუალო არითმეტიკულს, ანუ: საანგარიშო პერიოდის განმავლობაში ცალკეული თვის მიხედვით გაანგარიშებული დასაქმებულ პირთა საშუალოთვიური რაოდენობის ჯამი უნდა გაიყოს 12-ზე. არასრული სამუშაო დღით ან არასრული სამუშაო კვირით დასაქმებულები, თუ კანონმდებლობით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული, დასაქმებულთა რაოდენობაში ჩართვებიან მათ მიერ ფაქტიურად ნამუშევარი დროის პროპორციულად (პირველ რიგში თვეში ნამუშევარი კაცსათები იყოფა სამუშაო დღის ნორმალურ ხანგრძლივობაზე, შემდეგ კი სამუშაო დღეების რაოდენობაზე). მაგალითად, საწარმოში, სადაც ნორმირებული სამუშაო დღის ხანგრძლივობაა 8 საათი, ხოლო თვეში სამუშაო დღე - 23 (ხუთდღიანი სამუშაო კვირის შემთხვევაში), თუ პიროვნებამ იმუშავა 92 კაც-საათი, თვეში დასაქმებულთა საშუალო თვიურ რაოდენობაში ის ჩათვლება, როგორც 0.5 კაცი (92/8/23=0.5).

დასვენების და უქმე დღეებში დასაქმებულთა რაოდენობად ჩათვლება წინა სამუშაო დღის დასაქმებულთა რაოდენობა. მაგალითად, თუ საწარმოს სამუშაო კვირის ხანგრძლივობაა 5 დღე და პარასკევს იმუშავა 40 კაცმა, მაშინ შაბათს და კვირას დასაქმებულთა რაოდენობად ჩათვლება 40 კაცი. თუ საწარმო არ ფუნქციონირებდა მთელი საანგარიშო პერიოდის განმავლობაში (სეზონური საწარმო და სხვა), მაშინ დასაქმებულთა საშუალო წლიური რიცხოვნობის გასანგარიშებლად საჭიროა დავაჯამოთ ნამუშევარი თვეების დასაქმებულთა საშუალო თვიური რიცხოვნობები და მიღებული ჯამი გავყოთ 12-ზე. თუ მომუშავეს ამ საწარმოს გარდა სხვა სამუშაოც აქვს (საკუთარი საქმის ან საკუთარ მამულში მუშაობის ჩათვლით), ძირითად სამუშაოდ ჩათვლება ის, სადაც იგი მეტ დროს ხარჯავს (მიუხედავად შემოსავლის სიდიდისა).

### ნაწილი IV. ინვესტიციები; ფიქსირებული აქტივებისა და არაწარმოებული აქტივების მოძრაობა

მაჩვენებლის დასახელება	კოდი	კაპიტალიზებული ან შესყიდული (ფინანსური ლიზინგის ჩათვლით) წლის განმავლობაში, ქვეყნის ტერიტორიაზე ადრე არაექსპლუატირებული (ლარი)	კოდი	დანახარჯები კაპიტალურ რემონტზე და მიწის არსებით გაუმჯობესებაზე (დღგ-ს ჩათვლით), ლარი
ინვესტიციები ფიქსირებულ აქტივებში, მთლიანად	492		494	
მაჩვენებლის დასახელება	კოდი	კაპიტალიზებული ან/და შესყიდული (ფინანსური ლიზინგის ჩათვლით) წლის განმავლობაში, ქვეყნის ტერიტორიაზე ადრე ექსპლუატირებული (ლარი)	კოდი	მათ შორის, დანახარჯები გადაფორმებაზე (დღგ-ს ჩათვლით), ლარი
ინვესტიციები ფიქსირებულ აქტივებში, მთლიანად	496		498	
შემოსული ფიქსირებული და არაწარმოებული აქტივების ღირებულება	500			იგულისხმება საანგარიშო პერიოდის განმავლობაში ახლად შექმნილი ან შესყიდული, აგრეთვე სხვა სახით მიღებული ფიქსირებული (შენობები, ნაგებობები, მანქანები და მოწყობილობები, კულტივირებული აქტივები და სხვა) და არაწარმოებული აქტივების (მიწის ყიდვა-გაყიდვის ხარჯები, პატენტები, ლიცენზიები, გამოგონებები და სხვა) ღირებულება. აქვე შეიტანება კაპიტალური რემონტის ხარჯები
გასული ფიქსირებული და არაწარმოებული აქტივების ღირებულება	510			იგულისხმება საანგარიშო პერიოდის განმავლობაში გაყიდული ან ჩამოწერილი, აგრეთვე სხვა სახით გასხვისებული ფიქსირებული (შენობები, ნაგებობები, მანქანები და მოწყობილობები, კულტივირებული აქტივები და სხვა) და არაწარმოებული აქტივების (მიწის ყიდვა-გაყიდვის ხარჯები, პატენტები, ლიცენზიები, გამოგონებები და სხვა) ღირებულება. აქვე შეიტანება ამორტიზაციის ხარჯები (ცვეთა).
ფიქსირებული და არაწარმოებული აქტივების ნარჩენი (საბალანსო) ღირებულება წლის დასაწყისში	520			იგულისხმება ფიქსირებული (შენობები, ნაგებობები, მანქანები და მოწყობილობები, კულტივირებული აქტივები და სხვა) და არაწარმოებული აქტივების (მიწის ყიდვა-გაყიდვის ხარჯები, პატენტები, ლიცენზიები, გამოგონებები და სხვა) ნარჩენი (საბალანსო) ღირებულება წლის დასაწყისში
ფიქსირებული და არაწარმოებული აქტივების ნარჩენი (საბალანსო) ღირებულება წლის ბოლოს	530			იგულისხმება ფიქსირებული (შენობები, ნაგებობები, მანქანები და მოწყობილობები, კულტივირებული აქტივები და სხვა) და არაწარმოებული აქტივების (მიწის ყიდვა-გაყიდვის ხარჯები, პატენტები, ლიცენზიები, გამოგონებები და სხვა) ნარჩენი (საბალანსო) ღირებულება წლის ბოლოს

### ნაწილი V. კვლევები და დამუშავებები\*

დარიცხული (მიღებული) შემოსავლები კვლევებსა და დამუშავებებზე	610		"ჩაიწერება კვლევებისა და დამუშავებების საწარმოებლად დარიცხული (მიღებული) შემოსავლები სტრ. 610 = სტრ. 611 + სტრ. 612 + სტრ.613"
აქედან: სუბსიდიები პროდუქციაზე	611		ჩაიწერება კვლევებსა და დამუშავებებთან დაკავშირებული სუბსიდიები პროდუქციაზე, ანუ უშუალოდ ბრუნვასთან დაკავშირებული სუბსიდიები, რომელიც დარიცხული იქნა პროდუქციის მოცულობის პროპორციულად.

სუბსიდიები წარმოებაზე	612	ჩაიწერება კვლევებსა და დამუშავებებთან დაკავშირებული სუბსიდიები წარმოებაზე: სუბსიდიები შრომის ანაზღაურებაზე და შრომით რესურსებზე, გარემოს დაცვაზე. მასში არ შეიტანება საინვესტიციო სუბსიდიები.
გრანტები	613	ჩაიწერება კვლევებსა და დამუშავებებთან დაკავშირებული მიღებული გრანტები.
დანახარჯები კვლევებისა და დამუშავებების მომსახურების შეძენაზე	620	ჩაიწერება შეძენილი მომსახურება კვლევებსა და დამუშავებებზე
დანახარჯები კვლევებისა და დამუშავებების საკუთარი ძალებით განხორციელებაზე	630	ჩაიწერება კვლევებსა და დამუშავებებზე საკუთარი ძალებით გაწეული ხარჯები (სტრ. 630 = სტრ. 631+ სტრ. 632)
მათ შორის: კვლევებითა და დამუშავებით დაკავებული შრომის ანაზღაურება	631	ჩაიწერება კვლევებითა და დამუშავებით დაკავებული პერსონალის შრომის ანაზღაურება (ხელფასი, დანამატი, პრემია, საშვებულებო დახმარება, საკომპენსაციო გასაცემლები და სხვა.), რომელიც დაერიცხა პერსონალს (სამემოსავლო გადასახდის ჩათვლით) ან გაიცა ნატურალური სახით საანგარიშო პერიოდის განმავლობაში.
კვლევებსა და დამუშავებებთან დაკავშირებული სხვა მიმდინარე ხარჯები	632	ჩაიწერება კვლევებთან და დამუშავებებთან დაკავშირებული სხვა მიმდინარე ხარჯები: კონსულტანტების ანაზღაურება, მიმდინარე საშუალებების, აღჭურვილობის და სხვა ხარჯები; არ მოიცავს ლიცენზიის ხარჯს.
კვლევასა და დამუშავებაზე გაწეული მთლიანი კაპიტალური ხარჯი	640	იგულისხმება მიწის შეძენა: შენობა-ნაგებობების შეძენა/აშენება; მანქანა-მოწყობილობების შეძენა; კომპიუტერული პროგრამების შეძენა/შექმნა; პატენტები, ლიცენზიები და სხვა ინტელექტუალური საკუთრების პროდუქტები ერთ წელზე მეტ პერიოდით გამოყენებისთვის. კვლევასა და დამუშავებაზე გაწეული მთლიანი კაპიტალური ხარჯი

კვლევები და დამუშავებები წარმოადგენს კრეატიულ და სისტემატიურ სამუშაოებს, რომლის მიზანია არსებული, მათ შორის ადამიანისეული, კულტურული და საზოგადოებრივი ცოდნის გაზრდა და მისი ახალი გამოყენების ძიება. კვლევები და დამუშავებები მოიცავს სამი სახის საქმიანობას: საბაზისო კვლევა, გამოყენებითი კვლევა და ექსპერიმენტული განვითარება.

- ფუნდამენტური კვლევები წარმოადგენს მოვლენებისა და დასაკვირვებელი ფაქტების შესახებ ახალი საბაზისო ცოდნის მისაღებად წარმოებულ ექსპერიმენტულ ან თეორიულ სამუშაოებს წინასწარ განსაზღვრული კონკრეტული გამოყენების გარეშე.
- გამოყენებითი კვლევა წარმოადგენს ახალი ცოდნის მისაღებად წარმოებულ ძიებას, რომელიც მიმართულია წინასწარ განსაზღვრული პრაქტიკული მიზნის ან შედეგის მისაღწევად.
- ექსპერიმენტული დამუშავება წარმოადგენს სისტემატიურ სამუშაოს, რომელიც ეფუძნება კვლევადან, პრაქტიკული გამოცდილებიდან და დამატებითი ცოდნის მისაღებად წარმოებულ სამუშაოებიდან მიღებულ ცოდნას და მიმართულია ახალი პროდუქტების ან პროცესების შესაქმნელად, ან არსებულის გასაუმჯობესებლად. კვლევები და დამუშავებები უნდა მოიცავდეს შემდეგი კრიტერიუმების ელემენტებს:
  1. სიახლე - გამიზნული ახალი ცოდნის მიღებაზე; კრეატიულობა; გაურკვეველობა - გაურკვეველია კვლევის საბოლოო შედეგი; სისტემატიურობა - სამუშაოები გაწერილია დროში და მიმდინარეობს სისტემატიურად; გადაცემადი - შედეგების გამოყენება შესაძლებელი უნდა იყოს სხვა მკვლევარებისთვისაც. კვლევები და დამუშავებების მაგალითები საფინანსო სექტორში: 1. მათემატიკური კვლევები ფინანსური რისკების ანალიზისთვის;
  2. საკრედიტო პოლიტიკისთვის რისკის მოდელის განვითარება;
  3. მომხმარებლის ქცევის კვლევა ახალი ტიპის საბანკო სერვისის შექმნისთვის;
  4. ახალი რისკების ან მახასიათებლების კვლევები, რომლის გათვალისწინებაც მოხდება სადაზღვევო კონტრაქტებში;
  5. სოციალური ფენომენების კვლევა ახალი ტიპის დაზღვევის სერვისებისთვის;
  6. კვლევები და დამუშავებები ელ-ბანკინგისა და ელ-დაზღვევის (ინტერნეტზე დაფუძნებული) მიმართულებით;
  7. კვლევები და დამუშავებები ახალი ან მნიშვნელოვნად განვითარებული ფინანსური მომსახურებების მიმართულებით (ანგარიშების ახალი კონცეპტები, სასესხო, სადაზღვევო და სადეპოზიტო ინსტრუმენტები).

წინამდებარე კითხვარი შეგიძლიათ იხილოთ საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ვებ-გვერდზე: <http://www.geostat.ge> გამაღობთ თანამშრომლობისათვის!

**მოდული B. ადგილობრივი საქმიანობის სახის ერთეულები**

<p>ორგანიზაციის სათაო ოფისი, ფილიალები, წარმომადგენლობები, აგრეთვე სხვადასხვა მისამართზე განლაგებული ადგილობრივი ოფისები და სხვა ობიექტები, რომლებიც შეადგენენ საწარმოს ერთიან ქსელს</p>	(რაოდენობა)		დასაქმებულთა საშუალოწლიური რაოდენობა (კაცი)	შრომის ანაზღაურება დასაქმებულ პერსონალზე, სულ (ლარი)
<b>1</b>	(სათაო ოფისის დასახელება)		(სათაო ოფისის ფაქტიური მისამართი) (ატეკ-ის კოდი)	
	①			
		(საქმიანობის სახე)	(ესსკ-ის კოდი)	
<b>2</b>	(დასახელება)		(ფაქტიური მისამართი) (ატეკ-ის კოდი)	
	①			
		(საქმიანობის სახე)	(ესსკ-ის კოდი)	
<b>3</b>	(დასახელება)		(ფაქტიური მისამართი) (ატეკ-ის კოდი)	
	①			
		(საქმიანობის სახე)	(ესსკ-ის კოდი)	
<b>4</b>	(დასახელება)		(ფაქტიური მისამართი) (ატეკ-ის კოდი)	
	①			
		(საქმიანობის სახე)	(ესსკ-ის კოდი)	
<b>5</b>	(დასახელება)		(ფაქტიური მისამართი) (ატეკ-ის კოდი)	
	①			
		(საქმიანობის სახე)	(ესსკ-ის კოდი)	